

ერთობლივი პროგრამების
აღიარება: ეროვნული
რეგულაციები და გამოწვევები
საქართველოში

ანა მაისურაძე

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სამართლებრივი ბაზა

- * ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია (ლისაბონი, 1997)
- საქართველოსათვის ძალაშია 1999 წლის 1 დეკემბრიდან
- ყოველი მხარე ცნობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას, მინიჭებულს მეორე მხარის მიერ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია **საფუძვლიანი განსხვავების დადასტურება** კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის კვალიფიკაციასა და იმ ქვეყნის კვალიფიკაციას შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სამართლებრივი ბაზა

* საქართველოს კანონი „უმალლესი განათლების შესახებ“, მუხლი 50

- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმალლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სამართლებრივი ბაზა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ
ბრძანებით დამტკიცებული

„საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო
დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და
უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების
წესი“

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები

- * კომპეტენტური ორგანო - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- * აღიარებას ექვემდებარება:
 - ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება
 - სწავლის პერიოდში მიღებული განათლება
 - დასრულებული კვალიფიკაციები
- * ცენტრი განათლების აღიარებისას თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უცხოეთის კომპეტენტურ ორგანოებთან

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი/ნამდვილობის დადასტურება

- * არის თუ არა დოკუმენტის გამცემი დაწესებულება აღიარებული თავის ქვეყანაში
- * გაცემულია თუ არა დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია საგანმანათლებლო დოკუმენტში
- * ინფორმაცია მოწმდება უცხოეთის კომპეტენტურ ორგანოებთან

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თავისებურებანი/შესაბამისობის დადგენა

ცენტრი ადგენს უცხოეთში მიღებული
კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში
არსებულ კვალიფიკაციებთან

- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან
თავსებადობა
- სად აქვს დოკუმენტის მფლობელს სწავლის
გაგრძელების უფლება
- რა სამართლებრივი შედეგები უკავშირდება
დოკუმენტს მის გამცემ ქვეყანაში

პირობითი აღიარების ინსტიტუტი

- * აუცილებელი წინაპირობა: განმცხადებლის მიერ დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება
- * პირობითი აღიარების დოკუმენტის მომზადება
- * უკავშირდება საბოლოო აღიარების სამართლებრივი შედეგები

ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლების მინიჭება

- * საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის
- * აუცილებელი წინაპირობები:
 - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება
 - საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობა
 - საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტის შემთხვევაში
 - სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი

ერთობლივი ხარისხების აღიარება

- * ერთობლივი ხარისხების აღიარების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების არარსებობა
- * თავისებურება: ნამდვილობის დადასტურებისა და თავსებადობის დადგენისათვის ცენტრი მიმართავს კვალიფიკაციის მიმნიჭებელ ყველა სუბიექტს.
- * აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტის მოთხოვნა → აღარ არსებობს 2011 წლიდან

ერთობლივი ხარისხების აღიარების პრაქტიკა

- “NORTHWESTERN UNIVERSITY“ – „WHU – OTTO BEISHEIM SCHOOL OF MANAGEMENT“ -ის მიერ ერთობლივად მინიჭებული ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი - ერთი დიპლომი
- „BOCCONI UNIVERSITY“ – „CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY“-ის ერთობლივი პროგრამა - 2 დიპლომი- მინიჭებული ხარისხები: საერთაშორისო ეკონომიკისა და მენეჯმენტი ბაკალავრი; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

ერთობლივი ხარისხების აღიარების პრაქტიკა

* აღიარების პრაქტიკა:

- “ANGLIA RUSKIN UNIVERSITY“ – „HANZEHOGESCHOOL GRONINGEN, University of Applied Sciences“ -ის ერთობლივი პროგრამა - 2 დიპლომი, მინიჭებული ხარისხები: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობით

ერთობლივი ხარისხების აღიარების პრობლემატიკა

- * ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან განხორციელებული ერთობლივი პროგრამების აღიარების აუცილებლობა:
 - ცალსახა საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა
 - ერთობლივი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობის გამო კვალიფიკაციის დამატებით შემოწმების საჭიროების არარსებობა
- * ერთობლივად გაცემული დიპლომის ნამდვილობის დადასტურება



მადლობა
ყურადღებისათვის!